მდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოჲსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოჲსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

## არტიკული მესამე

განცხადებასა შინა ამის უზაკუველობისასა, ვითარითაცა ხატითა უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა ჴელმწიფებასა და მფარუელობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, განიწესების, ვითარმედ ჴსენებულნი[1] იგი მეფენი, ოდეს-იგი მიიწევიან მემკჳდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრაფლ[2] აუწყებდენ ამისთჳს კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თჳსთა მიერ სამეფოსა ზედა თჳსსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა, (ესე იგი არს) ბოვრაყი, ანუ დროშა, ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თჳსსა ჰჴსენებულთა სამეფოთა ღერბისა, ჴრმალი, კუერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა. ნიშანნი ესე ანუ დესპანთა ერწმუნების, ანუ მესამზღურეთა მთავართა მლით მიიწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა, მუნ დასწრებითა[3] რუსეთისა მინისტრისათა, თანამდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულებისათვის და გულსმოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა და უზენაეს შერაცხჳსათჳს ჴელმწიფებისა[4] და მფარუელობისა[5] ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, ესევითარითა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათ თანა. წესი ესე თანა-ამს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა მეფესა ქართლისა და კახეთისასა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა.

## არტიკული მეოთხე

დამტკიცებისათჳს, ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანათლებულესობისა განსჯითა[6] ესოდენ მჭირსისა შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა და აღსარებისათჳს უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლად უუბრწყინუალესის[7] ამის იმპერიისა მფლო-

[1] ჰჴსენებულნი. [2] მჰსწრაფლ. [3] დაჰსწრებითა. [4] ჴელმწიფობისა. [5] მფარველობისა. [6] განჰსჯითა. [7] უუბრწყინუალესისა.

ბელთასა, ვითარმედ არიან უზაკუელ, აღსთქუამს[1] უგანათლებუ-
ლესობაჲ მისი, რათა უწინარეს თანჴმობისა უპირუელესისას[2]
მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მისის იმპერატორების
დიდებულებისა ჰრწმუნებულისა, არა აქუნდეს მიწერ-მოწერაჲ
გარემოთა მფლობელთა მიმართ. ხოლო ოდეს-იგი მოვალნნ მათ
მიერ დესპანნი ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახვასა უპირუელე-
სისა მიმართ მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მისისა
4v იმპერატორების დიდებულებისასა უკუნ‖ქცევისათჳს დესპანთა-
სა და შესაფერისათჳს სიტყჳსგებისა მფლობელთა მათ მიერ[3].

## არტიკული მეხუთე

რათა ადვლად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროჲ მიწერ-
მოწერაჲ და თანჴმობაჲ რუსეთისა საიმპერატოროჲსა კარისა
თანა, ჰსურს ამისთჳს უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკ-
ლის, რათა ჰყუესმცა წინაშე კარისა მის მინისტრი, ანუ რეზი-
დენტი. ხოლო დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მოწყა-
ლებით მიმღებელი მისი, აღსთქუამს[4], ვითარმედ იგი კარსა
ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხუსა შინა სხუათა მფლო-
ბელთა მინისტრთა თანა, თანაჰსწორითა ნიშნითა თჳსითა. და
გარდა ამისსა ჰნებავს, რათა კერძოჲთცა თჳსით ჰყუეს-
მცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგანათლებულესობი-
სა.

## არტიკული მეექუსე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი კეთილ-
ნებებით აღსარებისა უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფარუე-
ლობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა და საქართუე-
ლოჲსათა, აღსთქუამს[5] სახელითა თჳსითა და მოსაყდრეთა
თჳსთათა:

პ ი რ ვ ე ლ ა დ[6]. ერთა მის სამეფოჲსათა შერაცხს[7] ყოფად
მჭირსითა კავშირითა, სრულებით თანაჴმად იმპერიისა თანა
თჳსისა, მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად თჳსსა,
რომლისათჳსცა პორტის ათამანისა თანა (ესე იგი ხონთქრისა),

---

[1] აღჰსთქუამს. [2] უპირუელესისა. [3] მათ მიერ] მათდამი. [4] აღჰსთ-
ქუამს. [5] აღჰსთქუამს. [6] პირუელად. [7] შეჰრაცხს.

ანუ სპარსეთისა, ანუ სხუათა მპყრობელთა და სამფლობელოთა თანა მშვიდობაჲ დამტკიცებული, სათანადო არს, რათა განგრძელდეს დიდებულებისა მისისა დასაფარუელთა ერთაცა ამათ ზედა.

მ ე ო რ ე დ. უგანათლებულესსა[1] მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა და სახლისა მისისა მემკვიდრეთა და მენაცულეთა და ტომთა დაიცავს უცვალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა.

მ ე ს ა მ ე დ. შინაგანსა ჴელმწიფებისა მმართებელობასა[2] თანა შეუღლვილსა[3] მსჯავრსა[4] და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსა და დააყენებს მთავართა სამჴედროსა და სამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცალა იყო განწესებაჲ ერთა მათ ჰჴსენებულთა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე შ ვ ი დ ე

მისი იგი უგანათლებულესობა მეფე, ღირსთანამდებობითა კრძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა მისისაგან იმპერატორების დიდებულებისა, აღსთქუამს[5] თავსა[6] თჳსისა და ტომთა თჳსთათჳს:

პ ი რ უ ე ლ ა დ. რათა იყოს ნიადაგ მზაჲ სამსახურსა ზედა მისისა დიდებულებისასა მჴედრობითა თჳსითა.

მ ე ო რ ე დ. მთავართადმი რუსეთისათა‖რათა იქცეოდეს- 5r
მცა[7] სამარადისოჲთა მიწერ-მოწერითა, რაჲცალა თჳს ეყჳს მისისა იმპერატორების დიდებულებისა სამსახურსა და კმა ჰყოფდეს თხოვათა მათთა და ყმათა მისის[8] დიდებულებისათა სცჳდეს[9] ყოველთაგან განსაცდელთა და შეიწრებათა.

მ ე ს ა მ ე დ. განწესებასა შინა კაცთასა (თჳსისა სამეფოჲსათა) ადგილთა ზედა, და აღყუანებასა ზედა[10] მათსა ხარისხთა შინა, ანუ აღსავალთა რომელთამე, რათა უსაკუთრესად აჩუენოსმცა უდიდესობაჲ მსახურებისათჳს რუსეთის იმპერიისა. ესევითარსა პატივისცემასა ზედა მოკიდულ არს განსუენება და ბედნიერობა ქართლისა და კახეთისა სამეფოჲსა.

---

[1] უგანათლებულესა. [2] მმართუელობასა. [3] შეუღლვლსა. [4] მჰსჯავრსა. [5] აღჰსთქუამს. [6] თავისა. [7] იქცევოდესმცა. [8] მისისა. [9] ჰსცჳდეს. [10] შინა.

## არტიკული მერვე

დასამტკიცებელად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაჲ, ვითარმედ კათოლიკოზსა[1], ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღუდელთმთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა. ხოლო მართებისათვს საქართუელოჲსა ეკკლესიათასა და მიწერმოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთვს უკუე დაიწერების სხუა[2] არტიკული.

## არტიკული მეცხრე

განვრცელებისათვს მოწყალებისა თვსისა ყმათადმი მისისა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათვს განაწესებს დიდებულება იმპერატორებისა მისისა, ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირუელესობითა და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა. ხოლო უგანათლებულესობა მისი მიიღებს მადლობით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით შთამოსლუასა[3] და შეიკრვს წარგზავნად კარისადმი მისისა დიდებულებისა ნუსხასა[4] კეთილშობილთა გუართასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდვლი ზედმიწევნილებაჲ, თუ რომელსა ვითარიმე[5] ეშესაბამების სამართალი.

## არტიკული მეათე

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლისა და კახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახლებად და კუალად უკუნქცევადვე დაუყოვნებელად. ხოლო ტყუენი, უკეთუ საჭურუელითა[6], ანუ გამოჴსნითა, რომლითამე თურქ-

---

[1] კათოლიკოსსა. [2] სხუაჲ. [3] ჰშთამოსლუასა. [4] + ყოველთა. [5] + ნამდვლი. [6] საჭურველითა.

თაგან და სპარსთა, ანუ სხუათა ერთაგან განთავისუფლდენ, რათა განტევებულ იქმნენ ქუეყანასა თჳსსა წადილისაებრ თჳსისა, მაგრა რაჲცალა იგი წარგებულ არს გამოჴსნასა და მოყვანებასა[1] ზედა მათსა, გარდაიჴადონ იგი. თჳთ უკუე ამასვე უგანათლებულესობაჲცა მისი მეფე აღსთქუამს[2] წმიდად აღსრულებად განჰსჯითა რუსთა ტყუეთათჳს, რომელნიცა დატყვევებულ[3] იქმნენ მეზობელთაგან.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ა თ ე რ თ მ ე ტ ე 5v

ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისასა აქუს თავისუფლებაჲ, რათა განავაჭროს სავაჭროჲ თჳსი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითუე[4] სამართლითა და პატივისცემითა, რომლითაცა მკჳდრნი რუსეთისანი სარგებლობენ[5]. ნაცულადუე[6] მისსა აღსთქუამს[7] მეფეჲცა განწესებად თავთა მთავართა მესამზღურეთა, ანუ მინისტრთა მისისა დიდებულებისათა, ყოვლითა ძალითა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თჳსთა, ანუ მგზავრ განმვლელთა რუსთა ვაჭრობისათჳს სხუათა შინა ადგილთა, ამისთჳს რომელ გარდა ესგუარისა ნამდჳლისა განწესებისა და ზავისა სარგებელთათჳს ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს (ესე იგი არს, სხუაგუარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ა თ ო რ მ ე ტ ე

ზავი უკუე ესე, ანუ პირობა იქმნების საუკუნოდ. მაგრა უკეთუ განხილულ იქმნეს რაჲმე საჭიროდ შეცუალებად, ანუ დართუად[8] ურთიერთისათჳს სარგებელისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანჴმობისა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ა თ ს ა მ მ ე ტ ე

კმა ყოფისათჳს აწინდელისა ტრაქტატისა სათანადო არს ურთიერთარს შეცუალებულ ყოფაჲ ექუსთა თთუეთა შინა ჴელისმოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფლეს შესაძლებელ იყოს.

---

[1] მოყუანებასა. [2] აღჰსთქუამს. [3] დატყუევებულ. [4] მითვე. [5] ჰსარგებლობენ. [6] ნაცულადვე. [7] აღჰსთქუამს. [8] დაჰრთუად.

რომლისა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა, სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულძალმქონებლობისა მათისა, მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დასხნეს[1] ბეჭედნი.

თუესა იულისსა, დღესა 24, წელსა 1783.
წმიდის გიორგის კრეპოსტი[2].

Павел Потемкин (ბეჭედი)
თავადი იოანე ბაგრატიონი (ბეჭედი)
თავადი გარსევან ჭავჭავაძე (ბეჭედი)

6r ## ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲜᲘ ᲐᲜᲣ ᲛᲖᲐᲜᲘ ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲜᲘ*

### სეპარატისა არტიკული პირუელი

ჰაზრი მტკიცე მისის[3] იმპერატორების დიდებულებისა, რათა ერთმორწმუნენიმცა ერისა მისისანი, ესოდენ მჭირსითა საკრუელითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა, ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანჴმობასა, საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყულელად[4] შეერთებულითა ძალითა მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლებასა, განსვენებასა[5] და კეთილდღეობასა მათსა, რომლისათვის უკუე აღიძრვის[6] დიდებულება მისი მისისა უგანათლებულესობისადმი, მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, მიცემად მეგობრობითისა აზრისა[7] და განზრახჳსა (ესე იგი, რჩევისა[8]) დაცჳსათჳს მეგობრობისა და კეთილისა თანჴმობისა უგანათლებულესისა მეფისა მიმართ იმერთასა სოლომონისა**, განწესებისათჳს ყოვლისა მის, რაჲცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერ ყოფად, წინათვე[9] ჰსწრობად ყოვლისა ვერ გულისჴმისსაყოფელისა. აღჰსთქუამს იმპერატორებრითა სიტყჳთა თჳსითა არა თუ[10] ოდენ შეწევნად მეცადინობითა თჳსითა ყოფისათჳს ესო-

---

[1] დაჰსხნეს. [2] თუესა... კრეპოსტი] გიორგის ციხეში, იულისს 24 დღესა, 1783 წელსა. [3] მისისა. [4] მოსაწყლუელად. [5] განსუენებასა. [6] აღიძრჳს. [7] ჰაზრისა. [8] ჰრჩევისა. [9] წინათუე. [10] არათუ.

დენ სასარგებლოჲსა ამის საქმისა, არამედ ამას ესევითარსა ზე-
და მშვიდობასა და თანჴმობასა მისცემს[1] თჳსსა თავსმდებობასა.
უგანათლებულესობა მისი მეფე ირაკლი, მიმღებელი თანამდე-
ბობითითა მადლობითა დიდსულობასა მისისა დიდებულობისა
ზრუნვისასა დაცვისათვის[2] მეგობრობისა ერთა შორის ერთგუ-
ართა და ერთსჯულთა და უმაღლესსა თავსმდებობასა მისსა,
აღიარებს ამით, ვითარმედ ურთიერთთა საქმეთა შინა[3] მათთა
უგანათლებულესისადმი მეფისა სოლომონისა აწ და შემდგო-
მად შერაცხს[4] მისისა იმპერატორებისა დიდებულებჰასა[5] სრუ-
ლიად[6] მეშუამავლედ და განაგდებს მისისა მიერ უზენაესისა გან-
ჩინებისა, ანუ განჩენისა ვერ გულისჴმისსაყოფელთა შფოთ-
თა, შორის ორთა ამათ მფლობელთა, უფროს ყოვლისა მოლო-
დებისა გამოსრულთა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე ო რ ე ს ე პ ა რ ა ტ ი ს ა

დაცვისათვის[7] სამფლობელოჲსა ქართლისა და კახეთისათა
ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის[8]
მჴედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა დიდებულე-
ბა იმპერატორებისა მისისა აღსთქუამს[9] შენახუად სამფლობე-
ლოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითსა
ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი და საჭმელი უსი-
ტყუთა ხარისხისაებრ მჴედრობისაგანთა მათ მიეცემის და პრა-
ვიანტი იგი და საჭმელი უსიტყუთა სყიდულ იქმნების ნაყოფი-
[ერებისა][10]‖მლით ქუეყანისა, თანჴმობითა მისის უგანათლებუ- 6v
ლესობისათა, თავისა თანა მესამზღვრისა[11] მთავრისა დადებუ-
ლითა ფასითა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე ს ა მ ე ს ე პ ა რ ა ტ ი ს ა

დროსა ბრძოლისასა უთავესი იგი მთავარი მესამზღვრე[12]
მისისა იმპერატორების დიდებულებისა კერძოჲთ ნიადაგ სრუ-
ლისა ძალისა ქონებად თანამდებ არს, რათა უგანათლებულესო-
ბასა მისსა, მეფესა ქართლისა და კახეთისა, ეთანჴმოსცა[13] და
დასდუას[14] აზრი[15] შეწევნისათჳს თქმულთა მათ ქუეყანათა და წი-

[1] მიჰსცემს. [2] დაცჳსათჳს. [3] საქმეთა შინა]შინა საქმეთა. [4] შეჰ-
რაცხს. [5] დიდებულებასა. [6] სრულად. [7] დაცჳსათჳს. [8] სიმტკიცისათჳს.
[9] აღჰსთქუამს. [10] ნაყოფიერებისა. [11] მესამზღურისა. [12] მესამზღურე.
[13] ეთანჴმოსმცა. [14] დაჰსდუას [15] ჰაზრი.

ნააღმდგომისა მტერთასა მოქმედებისათჳს, რომელიცა არა სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს. ამას თანა განიწესების ესეცა, ვითარმედ უკუეთუ რაოდენიმე მჴედრობა ქართლისა და კახეთისა ჴმარებულ იქმნეს სამსახურისათჳს მისისა იმპერატორების დიდებულებისა გარეგან საზღუართა მათთა, მაშინ განიჩინების მათთჳს შესანახავი სრული, თანასწორი[1] მისისა დიდებულებისა მჴედართა.

### არტიკული მეოთხე სეპარატისა

დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქუამს[2], რათა დროსა ბრძოლისასა იჴმაროსმცა ყოველი შემძლებელობაჲ მეცადინობისა ღონითა საჭურუელისათა. ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათჳს ქუეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და მუელადვე სამეფოჲსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუე დაშთებიან[3] სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა, საფუძუელსა ზედა თქმულთა აზრთასა[4], რომელნიცა ითქუნენ მფარუელობისათჳს და უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა.

ამათ სეპარატისა არტიკულთა აქუსთ ესევითარივე ძალი, ვითარმცა[5] თუთ ზემო წერილნი იგი ტრაქტატნი ზემო წერილისაებრ ლექსითი-ლექსად შემოყუანილ ქმნილ იყუნენ, რომლისათჳსცა სრულ-ყოფასა ამისსა იგივე პაემანი აქუს შეცუალებასა ზედა, ანუ დართუასა[6].

რომლისა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა, სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულძალმქონებლობისა[7] მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დაჰსხნეს ბეჭედნი.

თუესა იულისსა, დღესა 24, წელსა 1783.
წმიდის გიორგის კრეპოსტი[8].

Павел Потемкин (ბეჭედი)
თავადი იოანე ბაგრატიონი (ბეჭედი)
თავადი გარსევან ჭავჭავაძე (ბეჭედი)

---

[1] თანაჰსწორი. [2] აღჰსთქუამს. [3] დაჰშთებიან. [4] ჰაზრთასა. [5] ვითარცა. [6] დაჰრთუასა. [7] ძალ-მქონებლობისა. [8] თუესა... კრეპოსტი] გიორგის ციხეში, იულისს 24 დღესა, 1783 წელსა.

# შესასრულებელი არტიკული*

7r

ვინათგან მეფენი ქართლისა და კახეთისანი ძუელით დროთ-გან იგჳრგჳნოსნებიან სამეფოთა გჳრგჳნითა და იცხებუ-ლებიან სამეფოსა ზედა წმიდითა მირონითა, ამისთჳს მისი იმ-პერატორების დიდებულება სახელითა თჳსითა და მონაცულეთა თჳსისა საიმპერატოროსა ტახტისათა არა ოდენ ყოვლად უმოწ-ყალესობით ნება-ჰსცემს მოჴსენებულთა მეფეთა ჴმარებასა ამის სამღუდელოსა წესისასა, არამედ კვალად უმეტესსა დამტკიცე-ბასა უსაკუთრესისა თჳსისა კეთილნებობისასა უბოძებს მათ, გარდა სხუათა ნიშანთა, იმპერატორულთა ინვესტიტურათა, სა-მეფოთა პირობათა შინა დადებულთა, ჩუეულებითსაცა სამე-ფოსა გჳრგჳნსა, რომელსაცა ვითარცა მისი სიმაღლე, აწ მფლობელი მეფე ირაკლი მეორე, ჴმარებულ ჰყოფს, ეგრეთვე უგანათლებულესნიცა მონაცულენი მისნი სათანადო არიან გჳრგჳნოსნებად.

მისი სიმაღლე მეფე ირაკლი, ამას უმაღლესსა მოწყალე-ბასა მისის იმპერატორების დიდებულებისასა ღირს თანამდე-ბობითა კეთილნებობითა და მადლობითა მიმღებელი, აღჰს-თქუამს სახელითა თჳსითა და მენაცულეთა თჳსთათა, რომელ წესსა ამას სამღუდელოსა, მენაცულეთა მათ თჳსისა სამეფო-სათა გჳრგჳნოსნებასა და ცხებასა არა უწინარეს სრულ ჰყო-ფენ, ვიდრემდის არა ჰყონ ტრაკტატით განწესებული ფიცი ერთგულებასა ზედა ყოვლისა რუსეთის საიმპერატოროს ტახ-ტისასა და არ მიიღონ დასამტკიცებელი იმპერატორული წე-რილი და ინვესტიტური.

არტიკულნი ესე შესარაცხუელ არიან ყოფად შესაბამად რიცხჳსადმი სხუათა ტრა‖კტატსა შინა მდებარეთასა, რომლი-საცა დასამტკიცებელად სრულის ძალის მქონებელთა, დამტკი-ცებისადმი ტრაკტატისა მის მიცემულითა მათდა, სრულძალ-მქონებლობითა მოაწერეს და ბეჭდებითა თჳსითა დაამტკიცეს სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, იანუარს 24 დღესა, 1784 წელსა. 7v

Павел Потемкин (ბეჭედი)
თავადი იოანჱ ბაგრატიონი (ბეჭედი)
თავადი გარსევან ჭავჭავაძე (ბეჭედი)

## [სახე ფიცისა]

8r სახე, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულობასა ზედა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა, თჳთმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა მფარუელობისა და უზენაესისა ჴელმწიფებისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა*

მე უკუე ქუემო ჴსენებული აღუსთქუამ[1] და ვფიცავ[2] ამას ყოვლისა შემძლებელითა ღმრთითა წინაშე წმინდისა სახარებისა მისისა, ვითარმედ მნებავს და თანამდებცა ვარ მისისა იმპერატორების დიდებულებისა, ყოვლად უბრწყინვალესისა[3] და უმპყრობელესისა, დიდისა ჴელმწიფისა იმპერატრიცაჲსა და თჳთმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა ეკატირინა ალექსივნაჲსა და მისისა ყოვლად საყუარელისა ძისა, ყოვლად უბრწყინუალესისა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისა**, ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროჲსა ტახტისა ჰსჯულიერისა მემკვიდრისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათა, რათა ვიყო ერთგულ, სარწმუნო და კეთილის მწადნელ. აღვარებ სახელითა ჩემითა, მემკჳდრეთა და მენაცულეთა ჩემთა და ყოველთა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარუელობასა და უზენაესსა ჴელმწიფებასა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მისთასა ჩემ ზედა და მოსაყდრეთა ჩემთა, ქართლისა და კახეთისა მეფეთა ზედა, რომლისაცა შედგომითა განვაგდებ ყოველსა ჩემ ზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა ვითართამე მისაღებელთა ტიტლოთა, ანუ წინადადებათა ვითარისამე უფლებისა, ანუ ჴელმწიფებისა სხვათა[4] ჴელმწიფეთა და მპყრობელთასა და უარვყოფ მფარუელობასა[5] მათსა.

---

[1] აღვჰსთქუამ. [2] ვჰფიცავ. [3] უბრწყინუალესისა. [4] სხუათა. [5] მფარუელობასა] ჴელმწიფებასა.

შევიკრვი[1] წმინდითა[2] ქრისტეანებრითა სჳნიდისითა ჩემითა, ვითარმედ მტერთა რუსეთისა სახელმწიფოჲსათა[3] ვრაცხდე[4] საკუთრად მტრად ჩემდა, ვითარმედ ვიყო მორჩილ და მზა ყოველსა შინა დროსა, სადაცა სახმარ[5] ვიყო მსახურებასა შინა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა და ყოვლისა რუსეთისა სახელმწიფოჲსასა და ამას შინა ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხლე[6] ჩემი, ვიდრე უკანასკნელ წუეთადმდე სისხლისა. სამჴედროთა და სამოქალაქოთა მისისა დიდებულებისა მთავართა მიმართ და მსახურთა ვიქცეოდე უმწუერუალესითა თანჴმობითა. და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებელისა და დიდებისა მისისა დიდებულებისა და მისის[7] იმპერიისა ვჰსცნა საქმეჲ ანუ ჰაზრი, მყის განვაცხადო იგი. მოკლედ უკუე ვიტყჳ: ესრეთ ვიქცეოდე[8], ვითარცა ერთმორწმუნე რუსეთისა ერთადმი და შეკრულებისა ძლით ჩემისა განჰსჯითა მფარუელობისა და უზენაესისა ჴელმწიფებისა მისის[9] იმპერატორების დიდებულებისათა შესაბამ და თანამდებობით. ხოლო დასასრულ ჩემისა ამის ფიცისა ამბორს უყოფ სიტყუასა და ჯუარსა მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ.

მსახურებს[10] სახე ესე ყოფადთაცა შინა შემდგომთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა, ყოფისათჳს ფიცითისა აღთქმისა მეფობად მომავალთა, ოდეს-იგი მიიღებენ დამტკიცებითსა წიგნსა, დროშათა და ინვესტიტურთა, ბოძებულთა[11] რუსეთისა საიმპერატოროჲსაგან კარისა.

რომლისაცა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა, სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულძალმქონებლობითა, მოვაწერეთ სახესა ამას ზედა და დავბეჭდეთ ბეჭდითა ჩუენითა. თუესა იულისსა, დღესა 24, წელსა 1783. წმიდის გიორგის კრეპოსტი[12].

Павел Потемкин (ბეჭედი)
თავადი იოანე ბაგრატიონი (ბეჭედი)
თავადი გარსევან ჭავჭავაძე (ბეჭედი)

---

[1] შევიკრჳ. [2] წმიდითა. [3] საჴელმწიფოჲსათა. [4] ვჰრაცხდე. [5] საჴმარ. [6] სიცოცხლეჲ. [7] მისისა. [8] ვიქცევოდე. [9] მისისა. [10] ჰმსახურებს. [11] ბოძებულსა. [12] თუესა... კრეპოსტი] გიორგის ციხეში, იულისს 24 დღესა, 1783 წელსა.

## [1784 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ II-ᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ[1]]

2г ყოვლად უგანათლებულესი, უთჳთმპყრობელესი, დიდი ჴელმწიფე იმპერატრიცა ეკატირინა ალექსივნა, მპყრობელი* ყოვლისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვოღოროდისა, მეფა ყაზანისა, მეფა ასტრახნისა, მეფა სიბირისა, ჴელმწიფა პსკოვისა და დიდი მთავრინა სმოლენსკისა, მთავრინა ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, თვერისა, იუღორსკისა, პერმსკისა, ვიატსკისა, ბოლღარისა და სხუათა, ჴელმწიფა და დიდი მთავრინა ნოვოღოროდის ნიზოვის ქუეყანათა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთის კერძოთა მბრძანებელი და ჴელმწიფა ივერიისა ქუეყანისა, ქართლისა და საქართუელოსა თავადთა და ყაბართოს ქუეყნისა, ჩერქეზთა და მთიურთა თავადთა და სხუათა მემკჳდრე ჴელმწიფე და მფლობელი.

ირაკლი მეორე **, წყალობითა ღმრთისათა და თქუენის იმპერატორების დიდებულებისა კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკჳდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა*** და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

თქუენმა იმპერატორებისა დიდებულებამან მიიღო ყოვლად უმოწყალესობით თხოვა ჩუენი, უსამღუდელოესისადმი საყდრისა თქუენისა მორთმეული, მიღებისათჳს ჩუენისა და მონაცუალეთა ჩუენთასა, ყოვლითა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩუე-

---

[1] ხელნაწერი აკინძულია ორ რვეულად. პირველი შეიცავს ძირითადი მუხლებისა და ფიცის ტექსტებს, ხოლო მეორე — სეპარატული მუხლების ტექსტებს.

ნითა, ყოვლად უმაღლესსა მფარუელობასა შინა თქუენსა და მენაცულეთა საყდრისა თქუენის იმპერატორებისათა, აღსარებითა კერძოჲთ ჩუენით უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისათა და ყოველთა ზედა სამფლობელოთა მათთა, მონარხობითითა თქუენითა ჩუენდამო წყალობითა და მოწყალებითა ინებეთ დამტკიცება ახლითა წინდითა, რომელიცა დამტკიცდა თქუენის იმპერატორების დიდებულებისა სრულის ძალის მქონებელისაგან და ჩუენ მიერთა სრულის ძალის მქონებელთაგან დღესასწაულობითითა პირობითა, რომელნიცა არიან აქა შემოხმულ ლექსითი-ლექსად.

## სახელითა ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა ერ- 2v
## თისა სამწმიდაობასა შინა დიდებულისათა

ადრითგან ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართუელთამან ჰმსახურა მფარუელობითა, შემწეობითა და შესავედრებელობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდგომად მაჭირუებელთა, რომელთაცა ქუეშე შემვრდომ იყუნეს იგინი მეზობელთაგან თჳსთა.

მფარუელობამან ყოვლისა რუსეთისა თვითმპყრობელთამან მეფეთა მიმართ საქართუელოჲსათა, ნათესავთა და ყმათა მათთადმი მინიჭებულმან, გამოიყუანა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ პირუელთა ამათგან, რომელიცა უფროსღა იჩუენების რუსეთისა საიმპერატოროჲსა ტიტლოჲსაგან.

აწ ბედნიერად მმეფობმან იმპერატორებისა მისისა დიდებულებამან ცხად უყო ერთა ამათ ნამდჳლითა სახითა მონარხობითი თჳსი კეთილნებობაჲ და დიდსულობითი მზრუნუელობაჲ კეთილობისათჳს მათისა, თჳსითა ძლიერითა მეცადინობისა დართჳთა, განთავისუფლებისათჳს მათისა უღლისაგან მონებისა და საყუედრელისაგან ტყუედ მიჴდისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყუნეს და განაგრძელებს თჳსსა მონარხობითსა მოხედუასა მფლობელთა მათთადმი.

ჰაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მოღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათჳს ყოვლითა მემკჳდრითა და მენაცუალითა თჳსითა და ყოვლითა სამეფოჲთა და სამფლობელოჲთა თჳსითა მონარხობითსა მფლობელობასა ქუეშე მი-

სისა დიდებულებისასა და მაღალთა მემკჳდრეთა მისთა და მოსაყდრეთა, უზენაეს ჴელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა, ყოვლად უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაჲ მეგობრობითისა პირობისა ჴსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთ კერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თჳსითა და თჳსთა მენაცულეთათა აღიარებს უზენაესსა ჴელმწიფებასა და მფარუელობასა მისისა იმპერატორების
3r დიდებულებისასა და მაღალთა მოსაყდრეთა||მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოჲსა ქართლისა და კახეთისათა და სხუათა სამფლობელოთა, შესაბამთა მათთადმი, რათა დანიშნულ ჰყოს (სამეუფოჲთა) დღესასწაულობითა და ნამდჳლითა ხატითა შერულებაჲ თჳსი განჰსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა.

ხოლო მეორით კერძო, დიდებულებაჲ იმპერატორებისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ჰყოს დღესასწაულობით, თუ ვითარი აღმატებულებაჲ და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯუენისაგან მისისა ჴსენებულთა ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა.

დასამტკიცებელად ესევითარისა პირობისა ინება დიდებულებამან იმპერატორებისა მისისამან სრულისა ძალისა ქონებად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა ჰრომაულისა გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი*, მჴედართა თჳსთა ღენარალ-ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა, განჰსწავლულისა და განუსწავლელისა და სხუათა მრავალთა სამჴედროთა ძალთა, სენატორი, საჴელმწიფოჲსა სამჴედროჲსა კოლლეღიის ვიცე-პრეზიდენტი, ასტრახნისა და სარათოვისა, აზოვისა და ნოვაროსსიისა მოადგილე ჴელმწიფისა, ღენარალ-ადუტანტი თჳსი და დეისტვიტელნი კამერღერი, კავალერღუარდიისა კორპუსისა პორუთჩიკი, ლეიბღვარდიისა პრეობრაჟენის პოლკისა პოდპოლკოვნიკი, უპირუელესი მთავარი პალატისა სასაჭურუელოჲსა ჴელოვნებისა, კავალერი ორდენთა წმიდისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევსკისა, სამჴედროსა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა დიდთა ჯუართა, კოროლთა პრუსიისა შავისა და პოლშისა თეთრისა არწივისა და წმიდისა სტანისლავისა, შუეციისა სერაფიმთა, დატსკისა სპილოჲსა და ღოლსტინიისა წმიდისა ანნასი, ესევითარითა ჴელმწიფებითა, რათა არ ყოფასა მუნ თჳსსა აღირჩიოსმცა ნებითა თჳსითა სრულისა ძალისა მქონებელად, ვისიცა კეთილად განჰსაჯოს მან, რომელმან რომლი-

სათჳს აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყო მაღალ-
მსულელი უფალი მისის დიდებულების იმპერატორებისა არ-
მიის ღენარალ-პორუდჩიკი, ასტრახნის ღუბერნიის მჴედრო-
ბისა მოკამანდე, მისის იმპერატორების დიდებულებისა დეის-
ტვიტელნი კამერღერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდათა
ალექსანდრე ნევსკისა, თავადის ვლადიმირისა პირველისა ხა-
რისხისა, სამჴედროს დიდის‖მოწამისა და ძლევაშემოსილისა 3v
გიორგისა და ჰოლშტინიისა წმიდისა ანნას კავალერი პავლე
პოტემკინი *.

ხოლო უგანათლებულესობამან ქართლისა და კახეთისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყუნა კერძოჲთ თჳსით ბრწყინვალენი თავადნი, მჴედრობისა თჳსისა მემარცხნე სარდარი და უმთავრესი თან-განმზრახი ერევნისა საქმეთა თავადი იოანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი და მისისავე უგანათლებულესობისა მანდატურთ-უხუცესი და ზედამხედუელი ყაზახისა კნიაზ გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე**.

ჰჳსენებულთა მათ, სრულისა ძალისა მქონებელთა და შეწევნითა ღმრთისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ურთიერთარს ნაცულისმგებელთა სრულისა ძალისა მქონებლობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და დაამტკიცეს და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა, ანუ წევრთა:

## არტიკული პირუელი

უგანათლებულესობაჲ მისი მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თჳსითა, მემკჳდრეთა და მენაცულეთა თჳსთა, დღესასწაულობით უკუჰსთქუამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა, ყოვლისაგან მოკიდულებისა სპარსთასა, ანუ სხუათა მპყრობელთასა. და ამით ცხადჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმედ არა შეჰრაცხს იგი თჳს ზედა და მენაცულეთა თჳსთა ზედა სხუასა თჳთმპყრობელსა, თჳნიერ უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფარუელობისა მისისა იმპერატორებას დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკჳდრეთა და მენაცულეთა საიმპერატოროჲსა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზაყოფისა შეწევნისათჳს სარგებელისა საჴელმწიფოჲსა (რუსეთისა), ყოველსა შინა შემთხუევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

## არტიკული მეორე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი უგა-
ნათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკუელისა აღთქმი-
სა, აღჰსთქუამს თანაჰსწორადუე და იმედეულ ჰყოფს იმპერატო-
4r რებრითა სიტყუთა თჳსითა თავისა თჳსი‖სათჳს და მოსაყდრე-
თა თჳისთათჳს, ვითარმედ მოწყალება და მფარუელობა თჳსი
უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არაოდეს
მიეღების, რომლისაცა დასამტკიცებელად დიდებულება მისი
აძლევს იმპერატორებრსა თავსმდებობასა თჳსსა მრთლად (და
დაუკლებელად) დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მი-
სისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი-
სათა. და წინა-დაჰსდებს განვრცელებასა ესევითარისა თავსმდე-
ბობისასა ესგუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა
წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითი-
თა ხატითა შესაბამად სამფლობელოჲსა მისისა იპოვებიან, პოვ-
ნილნი იგი სამფლობელოჲსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

## არტიკული მესამე

განცხადებასა შინა ამის უზაკუელობისასა, ვითარითაცა ხა-
ტითა უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა
აღიარებს უზენაესსა ჴელმწიფებასა და მფარუელობასა ყოვლი-
სა რუსეოისა იმპერატორთასა, განიწესების, ვითარმედ ჰჴსენე-
ბულნი იგი მეფენი, ოდეს-იგი მიიწევიან მემკჳდრეობით სამე-
ფოსა ზედა მათსა, მჰსწრაფლ აუწყებდენ ამისთჳს კარსა საიმ-
პერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თჳსთა მიერ
სამეფოსა ზედა თჳსსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვეს-
ტიტურისა წერილითა, (ესე იგი არს) ბოვრაყი, ანუ დროშა,
ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თჳსსა ჰჴსე-
ნებულთა სამეფოთა ღერბისა, ჴრმალი, კუერთხი საბრძანებე-
ლი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა. ნიშანნი ესე ანუ
დესპანთა ერწმუნების, ანუ მესამზღურეთა მთავართა ძლით მი-
იწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა, მუნ დაჰსწრებითა
რუსეთისა მინისტრისათა, თანამდებ არს, რათა იფიცოს დღე-
სასწაულობით ერთგულებისათჳს და გულსმოდგინებისა იმპერი-
ისა რუსეთისა და უზენაეს შერაცხჳსათჳს ჴელმწიფობისა და
მფარველობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, ესევი-

თარითა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათ თანა. წესი ესე თანა-ამს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა მეფესა ქართლისა და კახეთისასა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა.

### არტიკული მეოთხე

დამტკიცებისათჳს, ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანათლებულესობისა განჰსჯითა ესოდენ მჭირსისა‖შეერთებისა ყოვლისა 4v
რუსეთისა იმპერიისა თანა და აღსარებისათჳს უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლად უუბრწყინუალესისა ამის იმპერიისა მფლობელთასა, ვითარმედ არიან უზაკუელ, აღჰსთქუამს უგანათლებულესობაჲ მისი, რათა უწინარეს თანჴმობისა უპირუელესისა მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მისის იმპერატორების დიდებულებისა ჰრწმუნებულისა, არა აქუნდეს მიწერ-მოწერაჲ გარემოთა მფლობელთა მიმართ. ხოლო ოდეს-იგი მოვალნნ მათ მიერ დესპანნი ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახუასა უპირუელესისა მიმართ მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა უკუნქცევისათჳს დესპანთასა და შესაფერისათჳს სიტყჳსგებისა მფლობელთა მათდამი.

### არტიკული მეხუთე

რათა ადჳლად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროჲ მიწერ-მოწერაჲ და თანჴმობაჲ რუსეთისა საიმპერატოროჲსა კარისა თანა, ჰსურს ამისთჳს უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყუესმცა წინაშე კარისა მის მინისტრი, ანუ რეზიდენტი. ხოლო დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მოწყალებით მიმღებელი მისი, აღჰსთქუამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხუსა შინა სხუათა მფლობელთა მინასტრთა თანა, თანაჰსწორითა ნიშნითა თჳსითა. და გარდა ამისსა ჰნებავს, რათა კერძოჲთცა თჳსით ჰყუესმცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგანათლებულესობისა.

### არტიკული მეექუსე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი კეთილნებებით აღსარებისა უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფარუელობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა და საქართუელოჲსათა, აღჰსთქუამს სახელით თჳსითა და მოსაყდრეთა თჳსთათა:

პ ი რ ვ ე ლ ა დ. ერთა მის სამეფოჲსათა შეჰრაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა, სრულებით თანაჴმად იმპერიისა თანა თჳსისა, მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად თჳსსა, რომლისათჳსცა პორტის ათამანისა თანა (ესე იგი, ხონთქრისა[)], ანუ სპარსეთისა, ანუ სხუათა მპყრობელთა და სამფლობელოთა თანა მშჳდობაჲ დამტკიცებული, სათანადო არს რათა განგრძელდეს დიდებულებისა მისისა დასაფარუელთა. ერთაცა ამათ ზედა.

5r მ ე ო რ ე დ. უგა‖ნათლებულეს[ს]ა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა და სახლისა მისისა მემკჳდრეთა და მენაცულეთა და ტომთა დაიცავს უცუალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა.

მ ე ს ა მ ე დ. შინაგანსა ჴელმწიფებისა მმართუელობასა თანა შეუღლჳლსა მჰსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსა და დააყენებს მთავართა სამჴედროსა და სამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცალა იყო განწესებაჲ ერთა მათ ჰჴსენებულთა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე შ ჳ დ ე

მისი იგი უგანათლებულესობა მეფე, ღირსთანამდებობითითა კრძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა მისისაგან იმპერატორების დიდებულებისა, აღჰსთქუამს თავისა თჳსისა და ტომთა თჳსთათჳს:

პ ი რ ვ ე ლ ა დ. რათა იყოს ნიადაგ მზაჲ სამსახურსა ზედა მისისა დიდებულებისასა მჴედრობითა თჳსითა.

მ ე ო რ ე დ. მთავართადმი რუსეთისათა რათა იქცევოდესმცა სამარადისოჲთა მიწერ-მოწერითა, რაჲცალა თჳს ეყჳს მისისა იმპერატორების დიდებულებისა სამსახურსა და კმა ჰყოფდეს თხოვათა მათთა და ყმათა მისისა დიდებულებისათა ჰსცჳდეს ყოველთაგან განსაცდელთა და შეიწრებათა.

მ ე ს ა მ ე დ. განწესებასა შინა კაცთასა (თჳსისა სამეფოჲსათა) ადგილთა ზედა, და აღყუანებასა შინა მათსა ხარისხთა შინა, ანუ აღსავალთა რომელთამე, რათა უსაკუთრესად აჩუენოსმცა უდიდესობაჲ მსახურებისათჳს რუსეთის იმპერიისა, ესევითარსა პატივისცემასა ზედა მოკიდულ არს განსუენება და ბედნიერობა ქართლისა და კახეთისა სამეფოჲსა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე რ ვ ე

დასამტკიცებელად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილნე-
ბობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მი-
მართ მისთა და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ
ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაჲ,
ვითარმედ კათოლიკოსსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა
მათსა რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღუ-
დელთმთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემ-
დგომად ტობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს
მას ნიადაგ ტიტლოსა უწმიდესისა სინოდის ჩლენობისასა. ხო-
ლო მართებისათჳს საქართუელოჲ||სა ეკკლესიათასა და მიწერ- 5v
მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისად-
მი, ამისთჳს უკუე დაიწერების სხუაჲ არტიკული.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ც ხ რ ე

განვრცელებისათჳს მოწყალებისა თჳსისა ყმათადმი მისი-
სა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათჳს
განაწესებს დიდებულება იმპერატორებისა მისისა, ვითარმედ
ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქ-
მნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირუელესობი-
თა და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კე-
თილშობილთა. ხოლო უგანათლებულესობა მისი მიიღებს მად-
ლობით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით
ჰშთამოსლუასა და შეიკრჳს წარგზავნად კარისადმი მისისა დი-
დებულებისა ნუსხასა ყოველთა კეთილშობილთა გუართასა, რა-
თამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდჳლი ზედმიწევნილე-
ბაჲ, თუ რომელსა ვითარიმჱ ნამდჳლი ეშესაბამების სამარ-
თალი.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ა თ ე

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი
ქართლისა და კახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა და-
სახლებად და კუალად უკუნქცევად დაუყოვნებელად. ხოლო
ტყუენი, უკეთუ საჭურველითა, ანუ გამოჴსნითა, რომლითამე

თურქთაგან და სპარსთა, ანუ სხუათა ერთაგან განთავისუფლდენ, რათა განტევებულ იქმნენ ქუეყანასა თჳსსა წადილისაებრ თჳსისა, მაგრა რაჲცალა იგი წარგებულ არს გამოჴსნასა და მოყუანებასა ზედა მათსა, გარდაიჴადონ იგი. თჳთ უკუე ამასვე უგანათლებულესობაჲცა მისი მეფე აღჰსთქუამს წმიდად აღსრულებად განჰსჯითა რუსთა ტყუეთათჳს, რომელნიცა დატყუევებულ იქმნენ მეზობელთაგან.

## არტიკული მეათერთმეტე

ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისასა აქუს თავისუფლებაჲ, რათა განავაჭროს სავაჭროჲ თჳსი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითვე სამართლითა და პატივისცემითა, რომლითაცა მკჳდრნი რუსეთისანი ჰსარგებლობენ. ნაცულადვე მისსა აღჰსთქუამს მეფეჲცა განწესებად თავთა მთავართა მესამზღურეთა,
6г ანუ მინისტრთა მისისა დიდებულებისათა, ყოვლითა ძალი‖თა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თჳსთა, ანუ მგზავრ განმვლელთა რუსთა ვაჭრობისათჳს სხუათა შინა ადგილთა, ამისთჳს რომელ გარდა ესგუარისა ნამდჳლისა განწესებისა და ზავისა სარგებელთათჳს ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს (ესე იგი არს, სხუაგუარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

## არტიკული მეათორმეტე

ზავი უკუე ესე, ანუ პირობა იქმნების საუკუნოდ. მაგრა უკეთუ განხილულ იქმნეს რაჲმე საჭიროდ შეცუალებად, ანუ დაჰრთუად ურთიერთისათჳს სარგებელისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანჴმობისა.

## არტიკული მეათსამმეტე

კმა ყოფისათჳს აწინდელისა ტრაქტატისა სათანადო არს ურთიერთარს შეცუალებულ ყოფაჲ ექუსთა თთუეთა შინა ჴელისმოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფლეს შესაძლებელ იყოს.

რომლისა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა, სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულძალმქონებლობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დაჰსხნეს ბეჭედნი.

გიორგის ციხეში, იულისს 24 დღესა, 1783 წელსა.

პავლე პოტემკინი ა. ბ.

თავადი იოანე ბაგრატიონი ა. ბ.

თავადი გარსევან ჭავჭავაძე ა. ბ.

## სახე ფიცისა

მე უკუე ქუემო ჰკსენებული აღვჰსთქუამ და ვჰფუცავ ამას ყოვლისა შემძლებელითა ღმრთითა წინაშე წმიდისა სახარებისა მისისა, ვითარმედ მნებავს და თანამდებცა ვარ მისისა იმპერატორების დიდებულებისა, ყოვლად უბრწყინუალესისა და უმპყრობელესისა, დიდისა ჴელმწიფისა იმპერატრიცაჲსა და თჳთმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა ეკატირინა ალექსივნაჲსა და მისისა ყოვლად საყუა‖რელისა ძისა, ყოვლად უბრწყინუალესისა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისა, ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროჲსა ტახტისა ჰსჯულიერისა მემკჳდრისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათა, რათა ვიყო ერთგულ, სარწმუნო და კეთილის მწადნელ. აღჳარებ სახელითა ჩემითა, მეძკჳდრეთა და მენაცულეთა ჩემთა და ყოველთა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარუელობასა და უზენაესსა ჴელმწიფებასა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მისთასა ჩემ ზედა და მოსაყდრეთა ჩემთა, ქართლისა და კახეთისა მეფეთა ზედა, რომლისაცა შემდგომითა განვაგდებ ყოველსა ჩემ ზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა ვითართამე მისაღებელთა ტიტლოთა, ანუ წინადადებათა ვითარისამე უფლებისა, ანუ ჴელმწიფებისა სხუათა ჴელმწიფეთა და მპყრობელთასა და უარვჰყოფ ჴელმწიფებასა მათსა. 6v

შევიკრჳ წმიდითა ქრისტეანებრითა სჳნიდისითა ჩემითა, ვითარმედ მტერთა რუსეთისა საჴელმწიფოჲსათა ვჰრაცხდე საკუთრად მტრად ჩემდა, ვითარმედ ვიყო მორჩილ და მზა ყოველსა შინა დროსა, სადაცა საჭმარ ვიყო მსახურებასა შინა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა და ყოვლისა რუსეთისა საჴელმწიფოჲსასა და ამას შინა ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხ-

ლეჲ ჩემი, ვიდრე უკანასკნელ წუეთადმდე სისხლისა. სამჴედრო-თა და სამოქალაქოთა მისისა დიდებულებისა მთავართა მიმართ და მსახურთა ვიქცეოდე უმწუერუალესითა თანჴმობითა. და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებელისა და დიდებისა მისისა დიდებულებისა და მისისა იმპერიისა ვჰსცნა საქმეჲ ანუ ჰაზრი, მყის განვაცხადო იგი. მოკლედ უკუე ვიტყჳ: ესრეთ ვიქცევოდე, ვითარცა ერთმორწმუნე რუსეთისა ერთადმი და შეკრულებისა ძლით ჩემისა განჰსჯითა მფარუელობისა და უზენაესისა ჴელ-მწიფებისა მისისა იმპერატორების დიდებულებისათა შესაბამ და თანამდებობით. ხოლო დასასრულ ჩემისა ამის ფიცისა ამ-ბორს უყოფ სიტყუასა და ჯუარსა მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ.

ჰმსახურებს სახე ესე ყოფადთაცა შინა შემდგომთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა, ყოფისათჳს ფიცითისა აღთქმისა მე-
7r ფობად მომავალთა, ოდეს იგი მიიღებენ დამტკიცები‖თსა წიგნ-სა, დროშათა და ინვესტიტურთა, ბოძებულსა რუსეთისა საიმ-პერატოროჲსაგან კარისა.

რომლისაცა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა, სრუ-ლისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულძალმქონებ-ლობითა მოვაწერეთ სახესა ამას ზედა და დავბეჭდეთ ბეჭდითა ჩუენითა. გიორგის ციხეში, იულისს 24 დღესა, 1783 წელსა.

| | |
|---|---|
| პავლე პოტემკინი | ა. ბ. |
| თავადი იოანე ბაგრატიონი | ა. ბ. |
| თავადი გარსევან ჭავჭავაძე | ა. ბ. |

მიმცემელი ღირს-თანამდებობითისა კრძალულებისა ესო-დენთა თქუენის იმპერატორების დიდებულებისა მოწყალებათა ჩუენდამო, ტომთა და ერთა ჩუენთა ზედა ჩუენებულთათჳს, ჩუ-ენ დღესასწაულობითთა ამათ მოქმედებათა, ჴელითა ჩუენითა მოწერილთა და სამეფოჲთა ბეჭდითა ჩუენითა განმტკიცებულთა, მიმღებელი და დამამტკიცებელი ყოველთა ქმნილთა და განწე-სებულთა ჩუენთა სრულის ძალის მქონებელთაგან აღვიარებთ, ვითარმედ იგი კმა ჰყოფს სრულებით წადილსა ჩუენსა და იმე-დებულ გუყოფს დროთა აწინდელთა და შემდგომთა სახლისა და მამულისა ჩუენისა განსუენებათა და კეთილდღეობათა, რომლი-სათჳსცა აღვჰსთქუამთ მეფობითითა სიტყვითა ჩუენითა წინაშე ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა, წინაშე უსამღუდელოესისა თქუენის იმპერატორების საყდრისა და წინაშე პირსა ყოვლისა

სოფლისასა ჩუენთჳს და მენაცულეთა ჩუენთა და ყოვლისა სა-
მეფოსა და სამფლობელოსა ჩუენისათჳს, ვითარმედ ყოველი პი-
რობასა ამას შინა აღთქმული ნამდჳლსა ძალსა და სწორესა გუ-
ლისხმისყოფასა შინა იქმნების წმიდად, მრთლად და დაუჴსნე-
ლად დაცული და აღსრულებული.

დასასრულ ამისა მოწყალებისა და კეთილნებობისა თქუ-
ენს იმპერატორების დიდებულებას‖მივაბარებთ თავსა ჩუენსა 7v
და სამეფოსა სახლსა ჩუენსა ყოვლითურთ სამფლობელოჲთ
ჩუენით.

სატახტოსა ქალაქსა შინა ჩუენსა ტფილისს, თთუესა იან-
უარსა 24 დღესა, 1784 წელსა შობითგან ქრისტესა, მეფობისა
ჩუენისა მეორმოცესა წელსა.

ერეკლე

თავადი ორბელიანი დავით

თავადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი

• • •

ყოვლად უგანათლებულესი, უთჳთმპყრობელესი დიდი ჴელ- 2 r
მწიფე იმპერატრიცა ეკატერინა ალექსივნა, მპყრობელი ყოვლი-
სა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვღოროდი-
სა, მეფა ყაზანისა, მეფა ასტრახნისა, მეფა სიბირისა, ჴელმწიფა
პსკოვისა და დიდი მთავრინა სმოლენსკისა, მთავრინა ესტლან-
დიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, ტვერისა, იუღორსკისა, პერ-
მსკისა, ვიატსკისა, ბოლღარისა და სხუათა, ჴელმწიფა და დიდი
მთავრინა ნოვოღოროდის ნიზოვის ქუეყანათა, ჩერნიგოვისა,
რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორი-
სა, ობდორისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთის კერძოთა,
მბრძანებელი და ჴელმწიფა ივერიისა ქუეყანისა, ქართლისა და
საქართუელოსა თავადთა და ყაბართოს ქუეყნისა, ჩერქეზთა და
მთიურთა თავადთა და სხუათა მემკჳდრე, ჴელმწიფე და მფლო-
ბელი.

ირაკლი მეორე წყალობითა ღმრთისათა და თქუენის იმპე-
რატორების დიდებულებისა კეთილნებობითა მეფე ქართლისა,
მეფე კახეთისა, მემკჳდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი,
მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილი-
სა, მთავარი კაკისა, მთავარი შამახისა და მთავარი შირვანისა,
მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

ვითარცა განწესებასა ზედა სრულის ძალის მქონებელთა-
სა თქუენის იმპერატორების დიდებულებისა და ჩუენთა სრულის
ძალის მქონებელთაგან პირობისა მიღებისათჳს ჩუენისა სამე-
ფოთ და სამფლობელოთ ჩუენით უმაღლესსა მფარუელობასა
ქუეშე თქუენის იმპერატორების დიდებულებისასა და უზენაე-
სისა ჴელმწიფებისა უმჯობესისათჳს სარგებელისა ჩუენისა და-
იმტკიცნენ ოთხნი სეპარატისა არტიკულნი სახელით.

## სეპარატისა არტიკული პირუელი

ჰაზრი მტკიცე მისისა იმპერატორების დიდებულებისა,
რათა ერთმორწმუნენიმცა ერისა მისისანი, ესოდენ მჭირსითა
საკრუელითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა, ეგნენ ურ-
2v თიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანჴმობასა,‖საშიშ-
რად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყლუელად შეერ-
თებულითა ძალითა, მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თა-
ვისუფლებასა, განსუენებასა და კეთილდღეობასა მათსა, რომ-
ლისათჳს უკუე აღიძრჳს დიდებულება მისი მისისა უგანათლე-
ბულესობისადმი, მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თე-
იმურაზოვიჩისა, მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა და გან-
ზრახჳსა (ესე იგი, ჰრჩევისა) დაცჳსათჳს მეგობრობისა და კეთი-
ლისა თანჴმობისა უგანათლებულესისა მეფისა მიმართ იმერ-
თასა სოლომონისა, განწესებისათჳს ყოვლისა მის, რაჲცაღა შე-
საძლებელ არს ოდენ ღონიერ ყოფად, წინათუე ჰსწრობად ყოვ-
ლისა ვერ გულისხმისსაყოფელისა. აღჰსთქუამს იმპერატორებ-
რითა სიტყჳთა თჳსითა არათუ ოდენ შეწევნად მეცადინობითა
თვისითა ყოფისათვის ესოდენ სასარგებლოჲსა ამის საქმისა,
არამედ ამას ესევითარსა ზედა მშჳდობასა და თანჴმობასა მიჰ-
სცემს თჳსსა თავსმდებობასა. უგანათლებულესობა მისი მეფე
ირაკლი, მიმღებელი თანამდებობითითა მადლობითა დიდსუ-
ლობასა მისისა დიდებულობისა ზრუნვისასა დაცჳსათჳს მეგობ-
რობისა ერთა შორის ერთგუართა და ერთჰსჯულთა და უმაღ-
ლესსა თაჳსმდებობასა მისსა, აღიარებს ამით, ვითარმედ ურთი-
ერთთა შინა საქმეთა მათთა უგანათლებულესისადმი მეფისა სო-
ლომონისა აწ და შემდგომად შეჰრაცხს მისისა იმპერატორე-
ბისა დიდებულებასა სრულად მეშუამავლედ და განაგდებს მისი-
სა მიერ უზენაესისა განჩინებისა, ანუ განჩენისა ვერ გულის-
ხმისსაყოფელთა შფოთთა, შორის ორთა ამათ მფლობელთა,
უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა.

## არტიკული მეორე სეპარატისა

დაცვსათჳს სამფლობელოჲსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათჳს მჴედრობისა მისისა უგანათლებუ||ლესობისა მეფისა დიდებულე- 3r
ბა იმპერატორებისა მისისა აღჰსთქუამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი და საჭმელი უსიტყუთა ხარისხისაებრ მჴედრობისაგანთა მათ მიეცემის და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუთა სყიდულ იქმნების ნაყოფიერებისა ძლით ქუეყანისა, თანჴმობითა მისისა უგანათლებულესობისათა, თავისა თანა მესამზღურისა მთავრისა დადებულითა ფასითა.

## არტიკული მესამე სეპარატისა

დროსა ბრძოლისასა უთავესი იგი მთავარი მესამზღურე მისისა იმპერატორების დიდებულებისა კერძოჲთ ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანამდებ არს, რათა უგანათლებულესობასა მისსა, მეფესა ქართლისა და კახეთისასა, ეთანჴმოსმცა და დაჰსდუას ჰაზრი შეწევნისათჳს თქმულთა მათ ქუეყანათა და წინააღდგომისა მტერთასა მოქმედებისათჳს, რომელიცა არა სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს. ამას თანა განიწესების ესეცა, ვითარმედ უკეთუ რაოდენიმე მჴედრობა ქართლისა და კახეთისა ჯმარებულ იქმნეს სამსახურისათჳს მისისა იმპერატორების დიდებულებისა გარეგან საზღუართა მათთა, მაშინ განიჩინების მათთჳს შესანახავი სრული, თანაჰსწორი მისისა დიდებულებისა მჴედართა.

## არტიკული მეოთხე სეპარატისა

დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღჰსთქუამს, რათა დროსა ბრძოლისასა იჴმაროსმცა ყოველი შემძლებელობაჲ მეცადინობისა ღონითა საჭურუელისათა. ხოლო დროსა მშჳდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათჳს ქუეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და მუელადვე||სამე- 3v
ფოჲსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუე დაჰშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა, საფუ-

ძუელსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ მფარუელობისათჳს და უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა.

ამათ სეპარატისა არტიკულთა აქუსთ ესევითარივე ძალი, ვითარცა თჳთ ზემო წერილნი იგი ტრაქტატნი ზემოწერილისაებრ ლექსითი-ლექსად შემოყუანილ ქმნილ იყუნენ, რომლისათჳსცა სრულ-ყოფასა ამისსა იგივე პაემანი აქუს შეცუალებასა ზედა, ანუ დაჰრთუასა.

რომლისა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა, სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულძალმქონებელობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დაჰსხნეს ბეჭედნი.

გიორგის ციხეში, იულისს 24 დღესა, 1783 წელსა.

პავლე პოტემკინი ა. ბ.
თავადი იოანე ბაგრატიონი ა. ბ.
თავადი გარსევან ჭავჭავაძე ა. ბ.

ჩუენ მიმღებელნი ამათნი, თანამდებობითითა კრძალულებითა დამამტკიცებელნი ყოვლისა მის, რაჲცა ჩუენთა სრულის ძალის მქონებელთაგან მუნ განიწესნენ, აღუსთქუამთ მეფობითითა სიტყჳთა ჩუენითა ღონითა ამის მოქმედებისათა, რომელიცა ჴელითა ჩუენითა მოწერილ არს და სამეფოთა ბეჭდითა ჩუენითა განმტკიცებულ, წინაშე ღმრთისა და უსამღუდელოესისა თქუენის იმპერატორების საყდრისა, ჩუენთჳს და მენაცულე-
4г თა‖ჩუენთათჳს და ყოვლისა სამეფოსა და სამფლობელოსა ჩუენისათჳს, წმიდად, მრთლად და დაუჴსნელად დაცუად და აღსრულებად.

დასასრულ ამის მოწყალებისა და კეთილნებობისა თქუენს იმპერატორების დიდებულებას მივაბარებთ თავსა ჩუენსა და სამეფოსა სახლსა ჩუენსა ყოვლითა სამფლობელოჲთა ჩუენითა.

სატახტოსა ქალაქსა შინა ჩუენსა ტფილისს, თთუესა იანუარსა 24, წელსა შობითგან ქრისტესა 1784, მეფობისა ჩუენისა მეორმოცესა წელსა.

ერეკლე
თავადი ორბელიანი დავით
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი

# ႵႠႰႧႪ-ႩႠႾႤႧႨႱ ႧႠႥႠႣ-ႠႦႬႠႳႰႧႠ ႱႨႠ*

## ქართლის თავადების რიცხვი

თავადი მუხრანის ბატონი ბაგრატიონი
თავადი აბაშიძე
თავადი იოთამისშვილი
თავადი ფალავანდისშვილი
თავადი ჩხეიძე
თავადი ჭერხეულისძე
თავადი თაქთაქისშვილი
თავადი ბებუთოვი

ႤႰႤႩႪႤ
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ**

## ქართლის თავადების რიცხვი

თავადი ჯამ[ბ]აკურიან-ორბელიანი
თავადი მელიქისშვილი
თავადი ავალისშვილი
თავადი იარალისშვილი
თავადი ბეგთაბეგისშვილი
თავადი გურჯი-რევაზისშვილი
თავადი დოლენჯისშვილი
თავადი ვეზირისშვილი

ႤႰႤႩႪႤ
ივნისის კჱ, წელსა ჩღპკ

## ქართლის თავადების რიცხვი

თავადი ერისთვისშვილი ერისთოვი
თავადი ბარათაშვილი
თავადი მაჩაბელი
თავადი დიასამიძე
თავადი სოლაღაშვილი
თავადი არღუთასშვილი
თავადი სუმბატისშვილი

ႤႰႤႩႪႤ
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

## ქართლის თავადების რიცხვი

თავადი ამილახორი
თავადი დავითისშვილი-ბაგრატიონი
თავადი ჯავახისშვილი
თავადი ფავლენისშვილი
თავადი თუმანისშვილი
თავადი ხიდირბეგისშვილი
თავადი რატისშვილი
თავადი მაღალასშვილი

ე რ ე კ ლ ე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

## ქართლის თავადების რიცხვი

თავადი ციციშვილი
თავადი აბაშიშვილი
თავადი თარხნისშვილი-მოურაოვი
თავადი ზურაბისშვილი
თავადი ამირეჯიბი
თავადი შალიკაშვილი
თავადი შარვაშიძე

ე რ ე კ ლ ე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

## კახეთის

თავადი ჩოლაყაშვილი
თავადი ჯორჯაძე
თავადი მაყაშვილი
თავადი სიდამონი
თავადი ტუსიშვილი
თავადი გურგენიძე
თავადი საგინაშვილი
თავადი ხიმშიაშვილი

ე რ ე კ ლ ე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

## კახეთის

თავადი აბაშიძე
თავადი ჭავჭავაძე
თავადი ვახვახაშვილი
თავადი ჯანდიერიშვილი
თავადი ავალისშვილი
თავადი ყარალაშვილი
თავადი ბაბადიშიშვილი
თავადი ლიონიძე

ე რ ე კ ლ ე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

### კახეთის

თავადი ენდრონიკაშვილი
თავადი ვაჩნაძე
თავადი რუსისშვილი
თავადი ჩერქეზისშვილი
თავადი გურამისშვილი
თავადი ქობულოვი
თავადი აფხაზისშვილი
თავადი რობიტაშვილი

ერეკლე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

### სახასო აზნაურნი ამის ქუეით დაიწერებიან

აზნაური შაბურისშვილი
აზნაური თურქისტანიშვილი
აზნაური სააკაძე
აზნაური საგინაშვილი
აზნაური გაბასშვილი
აზნაური მურვანისშვილი
აზნაური აბაზაძე
აზნაური ყორღანაშვილი
აზნაური ფიცხელაური
აზნაური ენაკოლოფასშვილი
აზნაური შანშიასშვილი
აზნაური გლურჯიძე
აზნაური კობიასშვილი
აზნაური გარაყანიძე
აზნაური კორინთელი
აზნაური ჩერქეზისშვილი
აზნაური ჭილასშვილი
აზნაური იეგულასშვილი
აზნაური მუსხელაშვილი
აზნაური მელვინეთხუცისშვილი
აზნაური სავარსამიძე
აზნაური ფურცელაძე
აზნაური ტერისშვილი
აზნაური ჩრდილელი
აზნაური გარსევანასშვილი
აზნაური კალატოზისშვილი
აზნაური როსტევანასშვილი
აზნაური მანუჩაროვი
აზნაური უთნელისშვილი
აზნაური მახატელი
აზნაური ყარაგოზისშვილი
აზნაური მირზაშვილი
აზნაური ზარდიასშვილი
აზნაური ზანდუკელი
აზნაური არეშიშვილი
აზნაური თურმანისძე
აზნაური ჯომარდიძე
აზნაური ქურული
აზნაური ოქრომჭედლისშვილი
აზნაური ბერძნისშვილი
აზნაური ალექსისშვილი
აზნაური მარკოზისშვილი
აზნაური ლარაძე
აზნაური ნახუცრისშვილი
აზნაური ფასიტაშვილი
აზნაური ჭარუაშვილი
აზნაური მახვილაძე
აზნაური ზავარაშვილი
აზნაური ჯავარაშვილი
აზნაური რჩეულაშვილი
აზნაური ქუმსიაშვილი
აზნაური დავითისშვილი
აზნაური ურქმაზასშვილი
აზნაური ხეროდინასშვილი
აზნაური თავყელისშვილი
აზნაური წითელაშვილი
აზნაური იმხნელისშვილი
აზნაური ელარასშვილი
აზნაური მიქელისშვილი
აზნაური ფარიამანისშვილი
აზნაური შახოვი
აზნაური დიდებულიძე
აზნაური ფანიასშვილი
აზნაური ორჯონიკიძე
აზნაური საყვარელიძე
აზნაური ცალქალამანისძე
აზნაური მადათაშვილი
აზნაური ფირადასშვილი

აზნაური ლორის-მელიქისშვილი
აზნაური ქალანთრისშვილი
აზნაური გილდასშვილი
აზნაური ბაზლიძე
აზნაური ფატრელისშვილი
აზნაური შავერდასშვილი
აზნაური ბათისშვილი
აზნაური უზნაძე
აზნაური ოთნასშვილი
აზნაური კოტეტისშვილი
აზნაური გრიგოლაშვილი
აზნაური ფარესასშვილი
აზნაური გოგიბედაშვილი
აზნაური ელიოზისძე

## საკათალიკოსო აზნაურნი

აზნაური მაღალაშვილი
აზნაური ელიოზისშვილი
აზნაური თუხარელი
აზნაური ქარსიძე
აზნაური თაზისშვილი
აზნაური ქადაგისშვილი
აზნაური კვალიასშვილი
აზნაური ზუმბულიძე
აზნაური ყოვარიშვილი
აზნაური ბოჭორაძე
აზნაური ეგაძე
აზნაური აღსაბაძე
აზნაური პადაშვილი

ე რ ე კ ლ ე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

## თავადის ერისთვისშვილის აზნაურნი

აზნაური კორინთელი
აზნაური ლოლაძე
აზნაური თულაშვილი
აზნაური ხმალაძე
აზნაური უთნელისშვილი
აზნაური სრესელი
აზნაური ფავლენიშვილი
აზნაური მრულისშვილი
აზნაური მაჭავარიანი
აზნაური ალექსიშვილი
აზნაური ბასილისშვილი
აზნაური ჩუბინიშვილი
აზნაური ტატისშვილი
აზნაური მანურისშვილი
აზნაური ძამელაშვილი
აზნაური კობახიძე
აზნაური განძიელი
აზნაური ჯაფარიძე

## თავადის ბარათაშვილის აზნაურნი

აზნაური არეშიშვილი
აზნაური ბერძნისშვილი
აზნაური სადუნაშვილი
აზნაური ნამორაძე
აზნაური ლამაზასშვილი
აზნაური გოსტამისშვილი
აზნაური ბლორძელი
აზნაური გეთასანაშვილი
აზნაური ყიფიანი

## თავადის მაჩაბლის აზნაურნი

აზნაური რჩეულაშვილი
აზნაური ნაბიჭრისშვილი

## თავადის დიასამიძის აზნაურნი

აზნაური მახვილაძე
აზნაური გობირეხვასშვილი
აზნაური ხუცისშვილი

ერეკლე
ივნისის კჲ, წელსა ჩღპგ

## თავადის ციცისშვილის აზნაურნი

აზნაური მეღვინეთ-ხუცისშვილი
აზნაური კლიმიასშვილი
აზნაური ორჯონიკიძე
აზნაური უთრუთისშვილი
აზნაური ალიბეგისშვილი
აზნაური დანდლისშვილი
აზნაური სტელისშვილი
აზნაური დაფქვიასშვილი
აზნაური ქართველისშვილი
აზნაური აბრამისშვილი
აზნაური ობლიძე
აზნაური მაღრაძე
აზნაური ალექსიძე
აზნაური ბუნიათისშვილი
აზნაური მუჩიძე
აზნაური გულბადისშვილი
აზნაური ბუდუტაური
აზნაური დეკანოზისშვილი
აზნაური წინამძღვრისშვილი
აზნაური ფურცელაძე
აზნაური ჩინჩალაძე
აზნაური ქურდევანიძე
აზნაური ჩაკაშვილი
აზნაური იონათამისშვილი
აზნაური მწყერაძე
აზნაური საყვარელიძე
აზნაური ალიყულაშვილი
აზნაური საფარაშვილი
აზნაური გვარამაძე
აზნაური საამისშვილი
აზნაური ავალდასშვილი
აზნაური ხუცისშვილი
აზნაური ხაბარაძე
აზნაური რევაზისშვილი

## თავადის თარხნისშვილის მოურაოვის აზნაურნი

აზნაური ცალქალამიძე
აზნაური ჩივაძე
აზნაური ჯაჯანაშვილი
აზნაური ჯავარაშვილი
აზნაური კარგარეთელი

## თავადის ამირეჯიბის აზნაურნი

აზნაური ბაქრაძე
აზნაური მონავარაშვილი
აზნაური ბადრიასშვილი

ერეკლე
ივნისის კჲ, წელსა ჩღპგ

## თავადის ამილახორისშვილის აზნაურნი

აზნაური ზედვინიძე
აზნაური ქარუმიძე
აზნაური ყანჩიელი
აზნაური ჩიკოიძე

აზნაური ბასილაშვილი
აზნაური ლიპარიტისშვილი
აზნაური ტარსაიჭასშვილი
აზნაური ზაალისშვილი
აზნაური თუხარელი
აზნაური ალექსისშვილი
აზნაური მურაჩასშვილი
აზნაური ციმაკურიძე

## სამთავრო და სამროვლო და საქოთახეო აზნაურნი

აზნაური ანანიაშვილი
აზნაური მამაცაშვილი
აზნაური შატბერასშვილი
აზნაური დეკანოზისშვილი

## თავადის ბაგრატიონის-დავითისშვილის აზნაურნი

აზნაური ტატისშვილი
აზნაური რიკაძე
აზნაური რამინისშვილი

## თავადის ჯავახისშვილის აზნაურნი

აზნაური აბულვარდისშვილი
აზნაური მახვილაძე
აზნაური ზაალისშვილი
აზნაური ბეჟანისშვილი
აზნაური გამყრელიძე
აზნაური ნინიაშვილი

## თავადის ფავლენიშვილის აზნაურნი

აზნაური ნამორაძე
აზნაური წვიმეტიძე

## თავადის ხიდირბეგისშვილის აზნაურნი

აზნაური ნათისშვილი
აზნაური ოღძაელი

ერეკლე
ივნისის კთ, წელსა ჩღპგ

## თავადის მუხრანის ბატონის ბაგრატოვანის აზნაურნი

აზნაური რატისშვილი
აზნაური ზედგინიძე
აზნაური მუსხელაშვილი
აზნაური ვაჴიანიძე
აზნაური ქავთარაძე
აზნაური ელიოზისშვილი
აზნაური ბაქრაძე
აზნაური მესხისშვილი
აზნაური ნათისშვილი
აზნაური ნასიძე
აზნაური წიწინაძე
აზნაური შალიღაშვილი
აზნაური ნანაშვილი

### თავადის აბაშიძის აზნაურნი

აზნაური ყიფიანი
აზნაური სავანელი
აზნაური ჩხეიძე
აზნაური რუსისშვილი
აზნაური ორჯონიკიძე
აზნაური გოდაბრელიძე
აზნაური ნაცვლისშვილი
აზნაური ავალიანი
აზნაური ალექსიძე
აზნაური ჩიკოიძე
აზნაური ალხაზისშვილი
აზნაური ნემსაძე
აზნაური რაბადასშვილი
აზნაური მაჭავარიანი
აზნაური ჭაშიტაშვილი
აზნაური კორძაია
აზნაური ჭაშიაშვილი
აზნაური დუშიაშვილი
აზნაური ხაშარაძე

### თავადის ფალავანდისშვილის აზნაურნი

აზნაური გოგიბაშვილი
აზნაური შალბელიქისშვილი
აზნაური შალიბასშვილი
აზნაური სამარღანისშვილი
აზნაური ხუციაშვილი
აზნაური ლაშხი
აზნაური ნაგლაძე

### თავადის ჩხეიძის აზნაურნი

აზნაური მაჭავარიანი
აზნაური ქართველისშვილი
აზნაური რამინისშვილი

### თავადის კერხეულიძის აზნაური

აზნაური მაჭავარიანი

### თავადის თაქთაქისშვილის აზნაურნი

აზნაური ციმაკურიძე
აზნაური ღონენაშვილი

Ⴄ Ⴐ Ⴄ Ⴉ Ⴊ Ⴄ

ივნისის კთ, წელსა ჩღპკ

### თავადის ჯამბაკურიან-ორბელიანის აზნაურნი

აზნაური ჩაჩიკასშვილი
აზნაური ყაითმაზაშვილი
აზნაური დოვრათასშვილი
აზნაური ბაგრატისშვილი
აზნაური შაბურისშვილი
აზნაური მორთულაძე
აზნაური კობახასშვილი
აზნაური ტარიელისშვილი
აზნაური ყონიძე
აზნაური ხანდამასშვილი
აზნაური ბუჭყიასშვილი
აზნაური ავთანდილისშვილი

აზნაური მაჭავარიანი
აზნაური ჯანიასშვილი
აზნაური ნაცვლისშვილი
აზნაური საყვარელიძე
აზნაური ბანძისშვილი
აზნაური ქავთარაძე
აზნაური ღძეული
აზნაური გარგალეთელი
აზნაური ბეჟიტასშვილი
აზნაური ლოლაძე
აზნაური ბერძენასშვილი
აზნაური მაბილაშვილი
აზნაური დივანასშვილი
აზნაური ქაოზისშვილი
აზნაური კოჭიბროლაშვილი
აზნაური ელიოზისშვილი

### თავადის სომხითის მელიქისშვილის აზნაურნი

აზნაური აბაზაშვილი
აზნაური არდაშელიშვილი
აზნაური ყარახანაშვილი
აზნაური ისუაშვილი

### თავადის ავალისშვილის აზნაურნი

აზნაური ლაპინაშვილი
აზნაური ოჯიაშვილი
აზნაური სანთლისკუდაშვილი
აზნაური ლომიძე
აზნაური კეცხოველი
აზნაური ედიშერაშვილი

ე რ ე კ ლ ე

ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

### კახეთის აზნაურშვილის რიცხვი

აზნაურშვილი ნათანლიშვილი
აზნაურშვილი პეტრიაშვილი
აზნაურშვილი ყოდალაშვილი
აზნაურშვილი კობიაშვილი
აზნაურშვილი ნაცვლისშვილი
აზნაურშვილი გილდაშვილი
აზნაურშვილი გიჟიყრელი
აზნაურშვილი გარაყანიძე
აზნაურშვილი მიწობლიძე
აზნაურშვილი გველესიანი
აზნაურშვილი მაჭავარიანი
აზნაურშვილი აზაურაშვილი
აზნაურშვილი ბახუტაშვილი
აზნაურშვილი თუშმალიშვილი
აზნაურშვილი გოგნიაშვილი
აზნაურშვილი სულხანისშვილი
აზნაურშვილი მეღვინეთხუცისშვილი
აზნაურშვილი მგალობლისშვილი
აზნაურშვილი ენდრონიკეშვილი
აზნაურშვილი აბელაშვილი
აზნაურშვილი თანიაშვილი
აზნაურშვილი იორამისშვილი
აზნაურშვილი უგანაძესშვილი
აზნაურშვილი ჯაფარიძე
აზნაურშვილი ნაცუალისშვილი
აზნაურშვილი ზალდასტანაშვილი
აზნაურშვილი ხირსელაშვილი
აზნაურშვილი ბოსტაშვილი
აზნაურშვილი პოპიაშვილი
აზნაურშვილი გომელაური
აზნაურშვილი ესიტაშვილი
აზნაურშვილი ოზაშვილი
აზნაურშვილი ადაშვილი
აზნაურშვილი ყავრიშვილი
აზნაურშვილი მიქელაშვილი
აზნაურშვილი ტარიელაშვილი

ე რ ე კ ლ ე

ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ